# ისწავლე სახლში

2 კლასი

# კითხვა



შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით – 2018-2024

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

## სერიის კონცეფცია

სერია დაეხმარება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, **ისწავლონ ქართული ენა,** ანუ შეძლონ მშობლიურ ენაზე **გამართულად წერა და კითხვა.**
წიგნებში მოცემული აქტივობები **შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.**
კითხვის რვეულებში მოცემული მწყობრი სავარჯიშოების სისტემა ასწავლის პატარა მკითხველებს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმას, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებას, ტექსტის ძირითადი კომპონენტების გამორჩევასა და მათ შორის კავშირების დამყარებას, გაუმდიდრებს ლექსიკას. სერიაში შესული ნაწყვეტები მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურიდან პატარებს გემოვნებიან მკითხველებად გაზრდის, წერის აქტივობები კი მათ ნააზრევის სწორად გადმოცემაში დაეხმარება.

## წიგნების სტრუქტურა

თითოეულ კლასში ტექსტები და სავარჯიშოები განაწილებულია მოსწავლეთათვის საინტერესო თემების მიხედვით – იქნება ეს თავგადასავალი, წვეულება, საიდუმლო, სოფელი, წიგნის შერჩევა თუ სხვა. თემები ერთი კლასის ფარგლებში წერისა და კითხვის რვეულებში ერთმანეთს მიჰყვება, რაც სწავლების პროცესს კიდევ უფრო ღრმასა და საინტერესოს ხდის. თუმცა წერის ან კითხვის რვეულის გამოყენება ცალკეც შეიძლება, იმის მიხედვით, ამა თუ იმ მოსწავლეს რომელი მიმართულებით სჭირდება განვითარება.
თითოეული თემის ბოლოს არის შეფასების გრაფა, რომელშიც სამუშაოს კარგად შესრულებისთვის, წასახალისებლად შეგიძლიათ მოსწავლეს ვარსკვლავი, გული ან სხვა სახალისო ფორმა ჩაუხატოთ.



## სერიის გამოყენება

სერიის სახელწოდებაც მიგვანიშნებს, რომ მოსწავლეებმა შინ უნდა იმუშაონ, რადგან საგაკვეთილო საათები ისედაც დატვირთულია. ეს ერთგვარად სკოლაში ნასწავლი მასალის განმტკიცება და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების აღმოჩენაა.
პედაგოგებს შეუძლიათ სერიის კომპონენტები გამოიყენონ, როგორც საშინაო დავალების რვეულები და კლასგარეშე საკითხავი წიგნები; ხოლო მშობლებს, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ შვილების განათლებაზე, სახლის პირობებში მთელი კურსის წარმართვის საშუალება ეძლევათ. სავარჯიშოები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე დამოუკიდებლადაც გაართმევს თავს სწავლის პროცესს.

**თინათინ კუხიანიძე**
**მარინა ბედოშვილი**

ისწავლე სახლში
**კითხვა**
მე-2 კლასი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2018

რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ილუსტრატორი **ია მახათაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ISBN 978-9941-30-185-8

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIAN 2
Reading

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

www.sulakauri.ge

# სარჩევი


სკოლა . . . . . 4
შემოდგომა . . . . . 6
სახლი . . . . . 8
ადამიანი . . . . . 10
საჭმელი . . . . . 12
ტანსაცმელი . . . . . 14
სპორტი . . . . . 16
მაღაზია . . . . . 18
ქალაქი . . . . . 20
სოფელი . . . . . 22
წიგნი . . . . . 24
პროფესიები . . . . . 26
წყალი . . . . . 28

# სკოლა

**1** რა რის შემდეგ მოხდა? სწორად დანომრე აბზაცები და დააკავშირე შესაბამის ნახატთან.

☐ ერთხელ სკოლის საახალწლო ზეიმზე ვიქტორინა გაიმართა.
– რა ადვილი კითხვებია! – უხაროდა ნიკოს.
– რა ძნელია! – ბრაზობდა გიგო.

ა.



ბ.



1 იყო ორი მეგობარი – ბეჯითი ნიკო და ზარმაცი გიგო. ნიკო სულ ბიბლიოთეკაში იჯდა და წიგნებს კითხულობდა. გიგოს კი ეზოსკენ გაურბოდა თვალი.

გ.



☐ ბავშვები გამარჯვებულს შემოეხვივნენ. გიგო კი ჩუმად გაიპარა სკოლის ბიბლიოთეკაში.

☐ – ვიქტორინაში გაიმარჯვა ნიკომ! – გამოაცხადა დირექტორმა.

დ.



**2** ტექსტში იპოვე და ყველგან შემოხაზე პერსონაჟების სახელები.

**3** ვინ რას ამბობს? დააკავშირე ნახატი ტექსტთან. გადახაზე ზედმეტი ტექსტი.

– მე ნინო ვარ.
ზაფხული ძალიან კარგი იყო, მაგრამ სკოლა მომენატრა.

– გაიცანით, ეს ჩემი მეგობარი გიორგია და დღეიდან ჩვენს კლასში ისწავლის.







– ბავშვებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! იმედი მაქვს, ყველა კარგად ისწავლით. გისურვებთ წარმატებას! ახლა კი თქვენ-თქვენს კლასს მიაშურეთ.

– ყველანი აქ ხართ, ბავშვებო? როგორ გაზრდილხართ! ძალიან მომენატრეთ!

# შემოდგომა

**1** წაიკითხე წერილი და უპასუხე შეკითხვებს.

საყვარელო ბებიკო!

ძალიან მომენატრე. ბაბა როგორ არის?

მე მალე ჩამოვალ. დედიკო დამპირდა, ოქტომბერში წამიყვანო. ჩურჩხელები უკვე ამოავლე? გიორგის უთხარი, არ შემიჭამოს.

როცა ჩამოვალ, საჩუქრებს ჩამოგიტანთ. აქ ძალიან ცივა და წვიმს. მანდ როგორი ამინდია?

მომიკითხე ყველა.

შენი მაგდა

ა. ვინ წერს წერილს?

ბ. ვის სწერს წერილს მაგდა?

გ. როდის ჩავა მაგდა სოფელში?

დ. რა სთხოვა მაგდამ ბებიას?



**2** წაიკითხე ლექსი.

## შემოდგომა

ოქტომბერი ილევა, ხან მზეა და ხან – არა,
დღეს დილიდან დარია, მოადუღეს თათარა,
ჩურჩხელები გამოდის სქელ-სქელი და თანთალა,
ზოგი უფრო დიდია, ზოგი – ცოტა პატარა.

გავაშროთო მზის გულზე – ჩამოჰკიდეს ცალ-ცალად;
ცოტა ხანი ეკიდა, დიდხანს ვინ დააცალა:
სად იყო და სად არა, ბიჭი გაჩნდა ცანგალა,
მიადგა და კუდები წააცალა ჩქარ-ჩქარა!

ციცო ხოცუაშვილი

დახატე ბოლო ორი სტრიქონის ილუსტრაცია.

# სახლი

**1** ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები.

## ანას სახლი



ეს არის ანას ______ . სახლს აქვს ერთი





______ , ორი ______





და ოთხი ______ . სახლს აკრავს ხის ______



როცა ______ და მისი ოჯახი შინ არ არის, ჭიშკარს



ყოველთვის დიდი ______ ადევს.

**2** წაიკითხე. სწორად დანომრე აბზაცები და დააკავშირე შესაბამის ნახატთან.

☐ ქალაქ ვენეციაში სახლები წყალში დგას და ადამიანები ქუჩებში ნავებით დაცურავენ.

☐ უხსოვარი დროიდან მოყოლებული ხალხი სხვადასხვანაირ სახლებს აშენებს. სასახლე უზარმაზარი სახლია. მასში იმდენი დარბაზი და ოთახია, რომ შეიძლება დაიკარგო კიდეც.

☐ ქოხი პატარა სახლია. ის შეიძლება ბალახებისა და ტოტებისაგან ააგო.

☐ დიდ ქალაქებში ადამიანები მრავალსართულიან სახლებს აშენებენ. ზოგი სახლი იმდენად მაღალია, რომ მას ცათამბჯენს უწოდებენ.

ა.



ბ.



გ.



დ.



**3** შემოხაზე სახლი, რომელშიც იცხოვრებდი. ☐

# ადამიანი

1 დაასათაურე და სწორი თანმიმდევრობით გადაწერე ეს ამბავი.



მერე ტანიც გამოთალა.



ჯუზეპემ პატარა ბიჭუნას თავი გამოთალა.



შემდეგ ფეხები და ხელები მიამაგრა.



სულ ბოლოს კი ცხვირი გაუკეთა.

**2** წაიკითხე ტექსტი. დახატე და დაახასიათე შენი რომელიმე მეგობარი.

## სანდრო



ეს სანდროა. სანდროს აქვს დიდი ცისფერი თვალები და ხვეული წითური თმა. ის შვიდი წლისაა და კლასში ყველაზე მაღალია. სანდრო ძალიან მხიარული ბიჭუნაა.

# საჭმელი

1 წაიკითხე მოთხრობა

## კეთილი სანდრო

სკოლაში სადილის დრო მოახლოვდა. მოსწავლეებმა ჩანთები გახსნეს, შინ მომზადებული ხაჭაპურები და ფუნთუშები ამოიღეს და ჭამას შეუდგნენ.

მხოლოდ ერთი ბავშვი მოსულიყო სკოლაში ხელცარიელი. განზე იდგა და თავის მეგობრებს საცოდავად შეჰყურებდა. კეთილმა სანდრომ დაინახა ეს, შუაზე გაყო თავისი წილი საჭმელი და მეგობარს შესთავაზა.

იაკობ გოგებაშვილი

2 დაწერე მოთხრობის სხვაგვარი დასასრული.

3 ჯერ დანომრე, შემდეგ კი გადაწერე ქოჩორას ამბავი სწორი თანმიმდევრობით და დაასათაურე.

☐ 

წისქვილში დასაფქვავად წაიღო.

☐ 

ქათამმა პურის მარცვალი იპოვა.

☐ 

მერე ცომი მოზილა

☐ 

და პური გამოაცხო.